ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 23.09.2022 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება N508-ს

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2022- 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების ადმინისტრირების პროცესის ვადების გაგრძელების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაგრძელდეს მაგისტრატურაში მიღების ადმინისტრირების პროცესის ვადები და განისაზღვროს მესამე ეტაპის სახით ამ ბრძანების დანართიის შესაბამისად.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის დანართით გათვალისწინებულ ვადებში მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია (დოკუმენტების წარმოდგენა) განხორციელდეს ელექტრონული ფორმით

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და

სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს; ენების ცენტრს.

4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე. განთავსება დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ი. ირაკლი ბრაჭული

<u>დანართი</u>

მაგისტრატურაში მიღების პროცესის მესამე ეტაპის ადმინისტრირების ვადები

1. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია - 22 -25 **სექტემბერი**
2. გამოცდა უცხო ენაში - 26 **სექტემბერი**;
3. გამოცდა სპეციალობაში - 27 **სექტემბერი**;
4. გამოცდების შედეგების გამოცხადება - 27- 28 **სექტემბერი**;
5. შედეგების გასაჩივრება - 28 - **სექტემბერი** - 1 **ოქტომბერი**;
6. საბოლოო შედეგების გამოცხადება - 3 **ოქტომბერი.**
7. რანჟირების დოკუმენტის გამოცემა - 3 **ოქტომბერი.**
8. ხელშეკრულების გაფორმება მაგისტრანტობის კანდიდატებთან, ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და გამოცემა - 28 სექტემბერი - 4 **ოქტომბერი**..
9. ჩარიცხვის ბრძანების ასახვა და ჩარიცხული მაგისტრანტების რეგისტრაცია მონაცემების საუნივერსიტეტო ბაზაში - 4 **ოქტომბერი.**